



# საბჭო



## УКАЗ

Президента Союза Советских Социалистических Республик

### О НЕКОТОРЫХ ЗАКОНОДАТЕЛЬНЫХ АКТАХ, ПРИНЯТЫХ В ГРУЗИНСКОЙ ССР В ДЕКАБРЕ 1990 ГОДА

Юго-Осетинский областной Совет народных депутатов 20 сентября 1990 года принял Декларацию, в соответствии с которой Юго-Осетинская автономная область провозглашена Советской Республикой.

Советом Юго-Осетинской ССР 11 декабря 1990 года приняты следующие акты:

1. Декларация о независимости Юго-Осетинской ССР.
2. Закон о государственном суверенитете Юго-Осетинской ССР.
3. Закон о порядке изменения статуса автономных образований Юго-Осетинской ССР.
4. Закон о порядке изменения статуса автономных образований Юго-Осетинской ССР.
5. Закон о порядке изменения статуса автономных образований Юго-Осетинской ССР.

Президент Союза Советских Социалистических Республик М. ГОРБАЧЕВ

Москва, Кремль. 7 января 1991 года.

კი მაგრამ, ღმერთი აღარაა?! — სადაა?! — თუა?! — ასე აბუჩად შეიძლება აგდება ერის?!

მუსრან მაჭავარიანი





# გავხარდიითა ადამიანი!

ზეუზკალაბლად გავწაღდით  
ტყისკაცი ცხრათავიანი,  
ზევიწყნაროთ და გავკანდლოთ,  
გავწარდლოთ ადამიანი!

ზანთით ამოვფვავთ ფარული  
ქვენაბრძნობანი ტყიური,  
ღავთრბუნოთ კანიბალური,  
ვანთოთ და ვფვართოთ ღვთიური!

მაგბამ რით, როგორ? არც ჯვარცმით,  
ბადრბით, ანუ დიღვით,  
არც როზბით, არცა მათრახით,  
და კოეზით — პირიკით!

ხელმწიფე წუთთვის უნდების,  
ვერ იქმს — ქალს ოღენ ჰმონებენ!  
მონა არ ბანიწუთების,  
ვწუთავთო, ესრეთ ჰმონებენ!

ღის კოეზია უხსოვარ  
ღროღან ევფრატით, ნილოსით  
და ჟღერს: — ოჰ, ჩანგო, კაცთათვის  
უფლისა მიგარტ ვილოცოთ!

გაუ, ჩანბით ვანთოთ ფარული  
ქვენაბრძნობანი ტყიური,  
ღავთრბუნოთ კანიბალური,  
ვანთოთ და ვფვართოთ ღვთიური!


ადამიანად გავწაღდით  
ტყისკაცი ცხრათავიანი!  
ზევიწყალთ და გავკანდლოთ,  
გავწარდლოთ ადამიანი!

ლომმა მხეცნი შეკრიბა და აუწყა ასე:  
„კარგად იცით, მასების აზრს ფრიად ვაფასებ.  
ისიც იცით, დავქვრივდი და აღარა მყავს ცალი,  
სახელმწიფოს კი სჭირდება ჰყავდეს დედოფალი!  
ჩემთანც მიტომ მოგიწვიეთ, მოგაცდინეთ საქმეს,  
ყველამ ერთად მოვიხადოთ ვალი მოქალაქის!  
კარგად ავწონ-დავწონოთ და ვამახვილოთ თვალი,  
ტახტისათვის ღირსეული შევარჩიოთ ქალი!“  
თვალზე ცრემლი მოადგათ, მხეცებს თხოვნა რა ესმათ,  
მყისვე ძებნას შეუდგნენ, ტახტზე თუ ვინ დაესვათ!..  
გაიმართა ბჭობა და გაიმართა ცილობა,  
სადედოფლო შექება, ენამჭევრობტკბილობა:  
„დედოფალი უნდა იყოს მაღალი და ჭრელი,  
ჩვენში მხოლოდ უირაფსა აქვს სადედოფლო ყელი!“  
— ეს ტურამ თქვა, მაგრამ დათვი წამოლუბტა მუქარით:  
„დედოფალი უნდა იყოს დაბალი და მსუქანი,  
თანაც სხვებზე ძლიერი უნდა იყოს ღონითაც,  
ამიტომაც დედოფლად ბეჭემოთი მომინდა!“  
რაკი ხელმისაწვდომი გახდა დემოკრატია,  
ატყდა შეხლა-შემოხლა, ატყდა გაწამაწია,  
თხუნელაც კი წამოხტა, ცხვირი მაღლა ასწია:  
„ნუ ხმაურობთ, მეგობრებო, გთხოვთ სიჩუმე დაიცვათ,  
დედოფალი რა ქალია, თუ ქურჭი არ ჩაიცვა?  
ამიტომაც ნულარ ვდავობთ, რაა საკითხავი,  
ჩვენს დედოფლად ერთადერთი გამოდგება წავი!“  
მელიამ თქვა: „ცოტას ცდება ჭურღმულეთის შვილი,  
რადგან ქურჭი ათასჯერ სჯობს ჩემი ქალიშვილის,  
მისი კული ას წავად ღირს, არ წამიწყდეს სული, —  
ფერი ფერს და მაღლი ღმერთსო, — მაგათზეა თქმული“.   
კიდევ ბევრი გამოითქვა აზრი მთის და ბარისა,  
მაგრამ მანც ვერ იბოვეს ქალი მეფურ გვარისა.  
კიდევ დიდხანს იმსჯელებდნენ, მაგრამ იქვე იწვა  
თვით ხელმწიფე და ბოლოს მან მოითხოვა სიტყვა:  
„დედოფალი ცოლიც არის, ყველამ უწყით კარგად,  
საღერსოდ თუ არ მოგწონს, ცოლი როდი ვარგა!  
ჩემს აზრს ისე ნუ გაიგებთ, თავს გახვევდეთ თითქოს,  
მაგრამ მომწონს ერთი ვინმე, გთხოვთ იხილოთ თვითონ!“  
ეს რომ ბრძანა და ლომებში ძუს დაადგა თვალი,  
ყველა მიხვდა, ვინ ხდებოდა მათი დედოფალი.  
დაუჩოქეს, შეშალადეს: „ხელმწიფეო მშვენიერთა,  
გვიმორჩილე, გვიმსახურე, საუკუნოდ შენი ვართო!“  
ლომს შეუქეს არჩევანი: „უბრძნესო და უქვედესო,  
სათქვენოა, შეეყარეთ მზე მთვარეს და მთვარე მზესო!“  
მყის ქორწილი გადიხადეს, შეწყდა ბჭობა და კამათი,  
სუფრის თავში ძუსთან ერთად იჭდა ლომი დემოკრატია.  
ეს არაკი ამას გვამცნობს: ცბიერია როცა ლომი,  
მას სჭირდება ერთადერთი — ჰყავდეს ბრიყვი

ქვეშევრდომი!

ამიტომაც დაიხსომოს, ვისაც უნდა ქვეყნის მართვა,  
საქმეს ისე არ გაუძღვეს, ვით იმ ტყეში წარიმართა.

რედაქცია სურგულაძე



### აზრები, ფრაზები

● **მიუხედავად** აზრთა სხვადასხვაობისა, ერთში ყველანი შეთანხმდნენ — ახალი წელი მიმდინარე წლის დამთავრებისთანავე დადგება!

● **პირდაპირი** რომ კითხულობ, — ახალი წელი რას მომიტანსო? — იმას რატომ არ ამბობ, რით ხედები ახალ წელს?

● **საუზოგლო**, ალბათ, მზადაა ზოგ-ზოგებს უთხრას: — ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო!

● **ცნობრება** ჭადრაკის თამაში არაა! არ უნდა გაგიკვირდეს, თუ ქიშის გამოუცხადებლად დავრჩით დაშამთებული!

● **სტუმარი** ღვთისაა, მაგრამ თუ ის თავის ადგილზე არ დასვი, ღვთის რისხვად შეიძლება მოგვევლინოს!

● **ერის** სახელით მოლაპარაკებ ერის მიერ გაცემული მანდატი უნდა წარმოადგინოს!

● **ხრუხროვს** — ხალხზე ზრუნვაში ამოსდიოდა სული, მაგრამ არა ისე, როგორც ხალხს უნდოდა!

● **როგორც** საბოლოოდ გაირკვა, 9 იანვარი 9 აპრილის გენერალური რეპეტიცია ყოფილა!

● **იქნებ** დადგადრო, გაიხსნას მალაზია 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთათვის?!

● **ჩვენ** რომ საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნების ხალხებს სულს ვუბრავეთ, ქარიშხლად გვიბრუნდება!

● **როგორც** უნდა იყოს ყაჩაღი, მისი გამყაჩაღებელი ყოველთვის მეტი ყაჩაღია!

● **თავისუფლება** არ უნდა იმას, ვისაც არ შეუძლია დამოუკიდებლად იაზროვნოს და პასუხი აგოს თავის მოქმედებაზე!

● **თაყვანს** სცემდე წარსულს და არ მოგწონდეს აწმყო, — ეს იგივეა, — მოგწონდეს ხე და არ მოგწონდეს მისი ნაყოფი!

● **ჟვეჟანა**, სადაც მართლმსაჯულება უცხო ხილია, სახელმწიფო კი არა, ბანაკია, მაგრამ არა ტურისტული, არამედ — საკონცენტრაციო!

● **არა** მგონია, რომ ამდენი მაიმუნობის შემყურე მიიმუნებმა გააღამიანება ისურვონ!

● **გაუქმება** იცოდა, ლენინის კურსით რომ მიდიოდა, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ ლენინის კურსი სად მიდიოდა!

● **ზოგი** კომუნისტი ისეთი პატიოსანი იყო, რომ ქრთამიდანაც კი პატიოსნად იხდიდა პარტიის საწევროს!

● **რა** ბედნიერება იქნებოდა, სოციალიზმი აშენებამდე რომ დაგვენგრია!

● **ერის** მოლაღატეა ის, ვინც პიროვნებას ერთპიროვნულად გამოაცხადებს ერის მოლაღატედ!

● **მართალია**, პრეზიდენტის ზევით არაფერია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს არაფერია... ხალხია!

● **ზრომა** მართლა შექმნა ადამიანი, მაგრამ არა — კომუნისტურმა!

● **როგორც** კომუნისტები ვარაუდობენ, მომავალ წელს ყველა საქონელი უფრო ძვირფასი იქნება, ვიდრე მიმდინარე წელს!

● **გენერალ** როდიონოვს ორლესული ხელბარით უნდოდა იმპერიის ნგრევის შეჩერება, მაგრამ თვითონ მოჰყვა ნანგრევებში!

● **როგორც** საბოლოოდ გაირკვა „ავრორამ“ ჩვენთვის კი არ ისროლა, ჩვენ გვესროლა!

● **როგორც** ბოროტი ენები ამბობენ, მომავალ წელს პრივილეგიების მოყვარულთათვის გათვალისწინებულია სიახლე: ზოგს უფლება მიეცემა ქუჩა გადაკვეთოს წითელ შექზე!

გიგლა გახტაძე

# შელოის ჟიურული



ამას წინათ შემომხვდი დიდი ხნის უნახავი, ნაკომუნისტარი, დარდმოშორებულნი, ხელში გიტარით და გეჰირა იგი, როგორც წითელი დროშის ტარი!

გამახსენდი.. იმ დროიდან გამახსენდი, პარტიმანდატის გადაგდება რომ დააპირე და კომუნისტებს ხმაძალა უწოდებდი ვამპირებს და ძალღმობირებს..

ხელაღებით მისი გადაგდება ვერ შესძელი — ცოდვები გაწუხებდა ძველი! ეროვნული მოძრაობა რომ დაიწყო, ვერ იქნა და ვერ დაშვებდი, ვიდრე მოისაზრებდი, სხვა რა გეღონა, უწინ პარტილეთს გამოუყვანე პანაშვილი!

შარშანაც უცნაურად დაიყენე აღდგომა — სიმთვრალითა და ბოლმით აღნიშნე შენი ბოლო თანამდებობიდან გადადგომა! ეს გიმღვრევდა გუნებას, რამეთუ გადადგომა კი არა, ეს იყო ჩვეულებრივი დაპანდურება! იმიტომაც მღეროდი თამამად, — ჩემი მანდატი სააღდგომო კვერცხის ფერიად, მისი ჩამდები ჩემს ჭიბეში ხალხის მტერიაო! ამოიღე კიდეც, დააქანებდი, ხელში გეჰირა, ერთ დროს რომ მისით ამაყობდი და თავს გერჩინა, გულში კი, შენთვის უწოდებდი მუდამ მგლის ბილეთს, რადგან მის პატრონს ბევრჯერ მგლობა შენ მოგიტონეს..

გადაგდება კი მაინც ვერ იქნა და ვერ გაბედე, არა იმიტომ, რომ ვერ შეღეოდი ძველ იმედებს, არამედ იმის გამო, რომ ზარალობი ხუთი ათას მანეთს, მაგ „პარდონში“ უპარდონოდ რომ გამოგართვეს! მაშინ, როცა პარტიაში შედიოდი, უკვე ციხით გქონდა დალაქავებული ავტორიტეტი და იმიტომაც გამოგართვეს ჩვეულებრივ „ნორმაზე“ ბევრით მეტი! პარტიაში მიმღებდა იქ დაგხვდა შენნაირი ვირთაგვა და ყველაფრის მოგვარება იმან ითავა! მერე იქ სხვებსაც გაეცანი შენნაირად საწყობ-ბაზებში და ტრესტ-სამმართველოებში შეპარულ ვირთაგვებს და საბოლოოდ ხელი სწორედ მათ მოგიტოვეს! შენ, ხელდამშვენებული პარტიული ბილეთით, დიდ მაყუთს შოულობდი ხულ სხვა მასშტაბითა და სხვა ილეთით — თანამდებობრივი კაბინეტი მოწყობილი გქონდა ბრწყინვალედ გაანგარიშებულ

ფულის მახედ და განურჩევლად ახაფანგებდი სულით გვერდლებსა და მაიმახებს, ამასთან პატრონის კაციც ბევრი აცხცავდი! გადახდილი ხუთი ათასი ბევრჯერ ამოიგე, მადლობის სათქმელად კი ხმა ერთხელაც არ ამოიღე! კომუნისტობას თამაშობდი, ცხვრის ტყავს ირგებდი! ასე შეკამეთ შენ და შენნაირებმა ეს ქვეყანა — გაჩნდა რიგები! მერე პირველმა შენ ატეხე ყვირილ-განგაში, ყველას დასანახად გამეტებით იცემდი თავში, — ვინ ყოფილან ეს კომუნისტებიო?! ჭერ სულ ახლოს მოგვჩვენეს კომუნის მთებო, ახლა კი გაძარცვულ მაღაზიებსო ცარიელი ჩანთებით მიგვახიესო!

ამას რომ ყვიროდი, თან გეშინოდა, — ძველი დრო უტეხ არ მობრუნდესო, თორემ არავინ მატაპიებს ამისთანა გაბედულ აბრუნდებსო!

ერთხელ ერთი მკლე ბერიკაცი წინ შემოგეყარა და, — ამისთანა უწმინდურ რამეებს ნუ გაჰყვირო! — გეხვეწა, ლამის მუხლი მოგიყარა. თქვენ დიდხანს ისაუბრეთ, ისიც ახსოვდა, შენ რომ ნაციხარი უსიტყვოდ მიგიღეს და ის კი უარით გამოისტუმრეს! აბა, რა იცოდა ყოფილმა მანწავლებელმა, რომ სულ ტყუილად აგისიხრდა, რომ შენთან საუბარში კედელს ცერცვს აყრიდა! შენ მაინც გადაწყვეტილი გქონდა და არაფრად ჩააგდე პარტიული ბილეთის გადაგდება და ამით დამთავრდა იდეისათვის (უფრო — მაყუთისათვის) შენი თავდადება! როცა გადააგდე, თან იშველიებდი იგავ-არაკებს, საბოლოოდ კი ეს ჩაილაპარაკე, — მგელი აღარა ვარ და, აბა, მგლის ბილეთი რაღაში მჭირდებაო?! ფულადაც და ნატუ-

რითაც იმდენი დავაგროვე, რომ ჩემს შვილთა შვილებსაც კი ბლომად შეხვდებო!

სინამდვილეში კი მგელი იყავი და მგლად დარჩი, ამაოდ იმოსებოდი ცხვრის ტყავის კულულ-ფარჩით! გაგიგეს, არ გაპატიეს დაგროვილი ოქრო-ვერცხლ-ქარვა და სხვა მიქარვა და აღარც ერთმა ახალმა პარტიამ არ გაგიკარა!

ახლაა ინატრე აღრე ნამღერები — სააღდგომო კვერცხისფერი ბილეთი, მისი წყალობით ხელში რომ გეკავა მილეთი და სასოწარკვეთილმა ახლადა ახსენე შენი ღმერთი!

კვლავ სიმდიდრის ღმერთს — მამონას მიუკაჟუნე! მან ყური მოიყრუა, არ გაგიღო კარი და ამის გამო ბევრი უბრაახუნე!..

ბოლოს მაინც შეგივრდომა და კვლავ აღწევება მოგინდომა — გიბოძა ვალუტაზე ნადირობის გრძელვადიანი ლიცენზია და შენც არ დააყოვნე — კოოპერატივ „ხაფანგში“ თავი მოუყარე შენნაირ შებერტყელ ხალხს, ქონებთან-ცენზიანს!

ახლა, რაკი უბილეთოდაც მსუქან საქმეს ჩავაღდე, უკვე მამულიშვილურ გრძნობებს ავლენ — ქვეყანაზე გულდამწვრვლად მოგაქვს თავი, სწულხარ, ზგოდებ და თან პირდაჭიბგამოტენილი დახლებს შუა დააბოტებ!

თუმცა, ვის რას გამოაპარებ?! ყველასათვის მისახვედრია შენი ფარული პოზიცია — მამულიშვილისათვის რომ ზარალზე მეტი არაფერი მოგიცია!

თვითონაც იცი, რომ გაყიდული ხარ, მაგრამ არ იმჩნევ, გზადაგზა ჩუმად შლი ძველ მიჯნებს!

შენ ხუმრობანარევი საყვედურით გეკითხებიან ბავშვები და ახლანან სიზმარში ბელადმაც ეს გკითხა ხუმრობაგაშვებით:

— ერთიც ვნახოთ და, დრო ისევ შებრუნდა ძველი რეჟიმისაკენ, მერე რას შვრები?! რეჟიმის ხსენებაზე სლოკინი აგვიარდა, — ვინ მახსენაო, — შეგეშინდა, სკამი გადაგიყარავდა.

ხედავ?! შიში მაინც დაგჩინია და, ალბათ, ეს შენი საბოლოო განაჩენია!



ელგუჯა მერაბიშვილი



# კვარტალი



ნახ. მ. ჯანგალავა

ნუ გაიხსენებთ, რამდენა ტკივილმა მოგვწყვიტა წელი, ნუ გაიხსენებთ, თუ რა დენი ცრემლი გვიღვრია ცხელი. როგორ დაგუბდა დამწვარ გულში დარდი განუზომელი, წუთისოფელმა რამდენაჯერ მოგვისვა სიკვდილის ცელი!..

მადლობა უფალს, რომელმან ისმინა ვედრება ჩვენი, გვიხსნა კირისაგან და გაგვიფანტა ღრუბელი სქელი, სიმართლისათვის საბრძოლველად გამოაფხიზლა ერი და დიდ სახაზო საქმეში მარჯვედ შეგვაშველა ხელი!

ღმერთო, დაგილოცე თავისუფლების საძირკვლის წელი, რომელსაც დიდის გულის ძგერით, რა ხანიც არის, ველით! მოგვივლინე კეთილი ანგელოზი ზეციდან ფრენით, ბორბტს, ეშმაკსა და ავს დაულურჯე გვერდები ცემით!

ღმერთო, დაგილოცე განახლებული სახლ-კარის კერი, შენ გაგვიმრავლე გოგო-ბიჭები ჩვენი მცირე ერის, აყვავე მამული ჩვენი, — ველარ ვძღებოდეთ ცქერით, — შენ ალგვამალე სიყვარულით, მოგვეც მოყვასი ბევრი!

ბუნების ძალნო, გაგვიადვილე ძნელად გასაველი! მწამს, — შრომის, შრომის სიყვარული იქნება ჩვენი მხსნელი! გაგიგონიათ ანდაზა: რომ იყო ერთი მთონწელი, მის ხარჯზე უქმად ცხოვრობდა ოცდათერთმეტი მცოხნელი?!

ვინძლო, ნიჭიერი შრომით ბევრმა ერი ასახელოს, ღმერთმა კალთა დააფაროს ჩვენს სამშობლოს — საქართველოს, ვინძლო, მარად აღუდღუდოს ცეცხლი ჩვენი სახლის კერის, სიკეთეში მოგვახმაროს საკუთარი მიწა ჩვენი!

ლალი მარტაშვილი



**თავი** და თავი ის გახლავთ, რომ დაიბენით სიხლეოთ ბოლოკამინდელ მორევში.. დაიბენით და ვყურყუმელობით ამ ამღვრულ დინებაში.. მოგეხსენებათ, ამღვრულ წყალში იოლად დაიპირებოთ თევზი! სინდისმა რომ არ შეაწუხოს მომავალში, ზოგი თავსაც იჭერს იმისათვის, ზოგიც — სახელს თუ სახელოს, მავანი — მანეთებს, დოლარებსაც! სხვა, რასაც მისწვდება, იმას მოიხელთებს! **ბათუმელი მარიამ დრაუმი** კი **მარგალიტ**ს დაეპატრონა! მოგეხსენებათ, მარგალიტი წყალში მოიპოვება და რაღა გასაკვირია, ამდენ ჩაყურყუმელებულთა შორის ერთ-ერთს სწორედ ეს ხვითო საგანი დაეთრია!

ღიას, მოსახლეობის „გაზრდილი ესთეტიკური მოთხოვნების“ დასაკმაყოფილებლად (ხედავთ, რაები სცოდნით აქ?! **დრაუმი** დიდი ფიქრისა და ჭახირის შემდეგ ხსნის **კოლმერაციულ საკომისიო მალაზიას** და მას ოცნებაში მოპოვებული **მარგალიტის** სახელით ნათლავს!

„**მარგალიტი**“ ქალაქის პრესტიჟულ უბანში მდებარეობს, ერთ-ერთ სარდაფში. სარდაფი ოსტატურად მოწყობილი განათებისა და დეფიციტური საქონლის სიუხვით მართლაც წარმტაცი სანახავია. ხალხიც (რომლის „გაზრდილი ესთეტიკური მოთხოვნების“ დაკმაყოფილების სურვილი **ქალბატონ მარიამს** არ ასვენებდა) ბუზივით ესევა სარდაფს. კისრისტებით ჩარბიან დამრეც (საშინლად დამრეც!) კიბეებზე. მერე... ფასები? ღმერთმა დაგიფაროს! (აქ კერძო დაწესებულებაა, ბატონო! პრეზიდენტის ნებართვით ვაჭრობენ და ვინც შენიშვნის გაბედვას შეეცდება, დიადი გარდაქმნის მტრად ითვლება!) ფასები იმდენად ფანტასტიკურია, ალალი შრომით მონაგარს კი არა, ყბადაღებული ჩრდილოვანი ეკონომიკის ხარჯზე ნაშოვნს ვერ გადაყრი გულდაწყვეტის გარეშე!

ერთი სიტყვით, **მალაზია „მარგალიტმა“** მოიპოვა ის ნაწილი თავისუფლება, რისთვისაც ამდენი ზალხი იბრძვის. არც იმას დაგიდევნენ, რომ არცხვენენ პრეზიდენტის ნდობას!

განა თავისუფლება აღვირახსნილობას გულისხმობს?! განა „ზალხის **გაზრდილი ესთეტიკური მოთხოვნების**“ დაკმაყოფილებაზე მზრუნველი ცეცხლს უნდა უკიდებდეს ისედაც გზაბანეულ მომხმარებელს?! ვის ჭირდება ასეთი ავტონომია?! დამოუკიდებლობა და თავისუფლება?! ეს ხომ ვაი სთან გაყრა და უისთან შეყრაა, სხვა რომ არაფერი!

„**მარგალიტი**“ სრული ქაოსია საკომისიო წესების მხრივაც. აქ ან არ იციან, ანაც სულაც შეგნებულად უგულბელებოფენ


ყველაზე თავისუფალი საკომისიო ვაჭრობის წესებს. ხარვეზებიანი საბჭოური წესებით დაკანონებულსაც კი. „**მარგალიტი**“ აინუნშიაც არ აგდებენ, საქონლის მიღებიდან განკუთვნილი დროის გასვლის შემდეგ, მის აუცილებლივ გადაფასებას! ათასი დასახელების საგნიდან, მალაზიაში მხოლოდ ერთი (უცხოური ლანგარი) ვიხილეთ გადაფასებული, მისი საწყისი ფასია 2 400 მანეთი, შემდეგ — 2 000 მანეთი და, საბოლოოდ — 1 500 მანეთი. ჩვენი აზრით, აღნიშნულ ნივთს ბოლო ფასითაც კი მსოფლიოში არსებული არც ერთი კერძო მალაზია არ შეაფასებს, როგორც გნებავთ დევალივირებული ფულის კურსითაც კი! დანარჩენი უწყევით დახლებზე, დახლებს ქვემოთ, ანგარიშგებისა და ფასგამოცხადების წესების განუკითხავი უგულბელებოფით. მაგალითად, ე. წ. „**კოფტა**“ ოთხი თვის უკან შეუფასებიათ 280 მანეთად და ამ ხნის განმავლობაში ამაოდ ელის მყიდველს! ასეთ ხვედრში ასობით დასახელების საქონელია!..

დავინტერესდით, როგორი წესით სრულდება ვაჭრობა, ქმნიან თუ არა სათანადო საბუთებს? ყველაფერი გვაქვსო, — **ბატონ მარგალიტმა** გვითხრა (რობერტი თავმჯდომარის, **ქალბატონ დრაუმის** კომპანიონია, როგორც თვითონ აგვიხსნა). — ეს წუთია, თავმჯდომარეს ველაპარაკე, ვილაც ურნალისტები რომ მოხვედით, ვაცნობო! თავმჯდომარემ თქვა, ჩვენი „გაკონტროლება“ დედამიწაზე არავის შეუძლია, ურნალისტებმა თავიანთი საქმე აკეთონო!

ამ ბოლო დროს ვინ არ ასწავლის ჭკუას ჩვენს ცოდვილ სამოსს! ყოჩაღ, ქალბატონო მარიამ! თქვენი კონტროლი მართლაც ხელმიუწვდომელია ძეხორციელისთვის! რაც შეეხება უფლებას უკმაყოფილების გამოთქმისა, რაიც თქვენმა „**მარგალიტმა**“ გაგვიჩინა, ნამდვილად გვაქვს!

დაბოლოს: ჩვენი ქვეყანა (მხედველობაში მაქვს ჩვენი პატარა საქართველო და არა „შიროკაია სტრანა“) ხვალ თუ ზევ თავისუფალი ვაჭრობის უფლებამოსილების მქონე მალაზიების, კვების, საყოფაცხოვრებო დანიშნულების მომსახურების და სხვა მსგავსი ობიექტებით უნდა დაიქსელოს! ღიას, ასე უნდა მოხდეს და, ნუ ინებებთ, ძვირფასო **ქალბატონო მარიამ**, ცუდი მაგალითი მისცეთ თქვენს უკან მომავალ კოლეგებს! ცუდია ცუდი მაგალითის ძალა! თავასულობა, თავხედობა და თავისუფლება, რა ვქნათ, რომ შორიშორს დგანან ერთმანეთისაგან! თავხედობა და თავგასულობა კი, როგორც მოგეხსენებათ, ვერც ერთ ზნეობრივ საზოგადოებაში ვერ იბოვინებს!

დავით ასკურავა



უსიტყვოდ

ნახ. ბ. ზუგაშვილისა

ყ.გ.



— ცოტაც მოვითმინოთ!.. ეგენი მალე დაზა-  
მენ ერთმანეთს და მერე კმურად გავიყოთ ეს  
ჩვენი მარჩინალი საქართველო!

### ახალი იაჰვანა

იაჰვანა, ვარდონანა, იაჰვანინათ,  
დღეს სხვა ნანით, ლოცვით გაგზრდი, პაწაწინა ყრმაო!  
სიყვარულის ყვაილებით სული აივსეო,  
დიდი ქრისტეს ათი მცნება გაითავისეო!  
ვინც შენ სასიკეთოს გეტყვით, ქიშას მოგვენდო,  
გამეზარდე, გაგერჩიოს მტერი, მოკეთეო!  
წინაპრების დანატოვარ კვალზე იარეო,  
მამულის მტერსა და ღუშმანს თვისი მიაგეო!  
მიწის მოცილე სატანა მოიგერიეო, —  
დაგიმადლებს, დაგიფასებს ერი და ბერო!  
თუ ჩემს ნანინას მოისმენ, მტლად დაგედებო,  
ამ არტახებესაც შეიხსნი, რომ გამეზრდებო!  
ჯერ კი ტყბილად დაიძინე, ციკქნა ონავარო,  
თავისუფალ საქართველოს დიდო მომავალო!

მანანა ზირანიშვილი-პერძენიშვილი  
(ქ. თელავი)

### მელოვან

ეროვნულ დროშას ეპოტინები,  
ძმობას ქადაგებ — გაგებარია!  
დახლში რომ დგახარ, უწყალოდ გვძარცვავ,  
მყვლეფავად გიცნობთ კაი ხანია!

ასე აშკარა ფარისევლობა,  
ასე ვაჭრობა სინდის-ნამუსით?!  
ბოლოს და ბოლოს, კაცი გქვია, თუ  
ორსახიანი ხარ იანუსი?!  
\* \* \*

გავხელი, გადავადღე ცალული!..  
ვიღაც აკოწიწებს დამსხვრეულ ტაბიკებს!..  
პატრონი მიყვავებს — ისევ სურს შემაბას,  
სახრეს მალავს და... მახარბებს კაპიკებს!

ბოდიში, ბატონო, საეკეს არ გეახლებით,  
სახედრის ულუფა არის ეს ბზე!  
ყელში ამოვიდა თქვენი თრევა  
საზოგადოებრივ საწყისებზე!

ჰა, თქვენი წითელყდიანი ბილეთი,  
ბელადის სახებით! მე თავი დამანებეთ!  
სანამდე გიმეგროთ სავარძელი  
ძალადპარტიული დავალებით?!

გოშებს წკავწკავით ყელი ეხლიჩებათ,  
მსხვილი ნაგაზებიც ყუფენ კენტად!  
მე გადაყვლეფილი ქელი მიაშდება —  
აღარ ვარ უფასო რეფერენტი!

\* \* \*

მამულო ჩემო, ანგელოზები  
თვედახსნილს ტაძრის კართან გელიან,  
მაგრამ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას  
თითო იულა არ დაგელია!

ვავლახ, აქაც გვყავს ასტაფიევისი,  
ცვეტოვ-რასპუტინ-ბარუზდინები —  
ქვეგამხედვარნი, ქართველურ მოდგმის  
მოსისხლეები დაუძინები!

ბოგანოს, ხიზანს უქართველებოდ  
ეს მიწაც უნდა, ცაც საფირონის,  
გენ-გონწართმეულს დავიწყებია  
მორღუობაც და ნათელ-მირონიც!

არამიმც იყოს შენი ამაგი,  
ვისაც არ ძალუძს მოძმის გატანა!  
წყალობა ღვთისა ივერთა ზედა,  
არული — ავსულს, მეხი — ხატანას!



ი უ მ რ ე ს კ ა

მისტრასენსობით, ტელეპატობით, გულთმისნობით და ჯადოქრობით დღეს ვის გააკვირვებ! ისე მოედო ქვეყანას ეს მოვლენები და ცხოვრებაში მათი გამტარებლები, რომ ის უნდა გააკვირდეს კაცს, თუ რომელიმე შენი ნაცნობი ან მეგობარი არ იქნება არც ძლიერი ბიოდენების მფლობელი, არც მკითხავი, არც მაგი, არც აბტროლოგი, ანდა, ბოლოს და ბოლოს, არ სწამდეს ქირომანტია ან სხვა ოკულტური მეცნიერებანი. ეგ კი არადა, თურმე ხულისგულზე შეიძლება ამოიკითხო, რა გელის სამოცდაექვსი წლის შემდეგ! ამას თავი დავანებოთ, ისიც კი შეიძლება გაიგო ხელისგულის ხაზებით, რა მოუვიდა ან ელის შენს ნათესავს... თუ მეგობარს!

მე კი მაინც ვერასვით ვერ ამომიხსნა გერონტის ფენომენი.

დაახლოებით ერთი წლის წინათ გავიცანი გერონტი ბერდიაშვილი მეზობლის ოჯახში, ვიწრო წრეში, სასიამოვნო მეგობრულ სუფრაზე. ორივეს მოგვეწონა ერთმანეთი და როცა ასევე შემოხვევით მეორედ შევხვდით და გულეები გავუხსენით, დავუახლოვდით კიდევ ერთმანეთს. ეს კი იმის საწინდარი იყო, რომ ჩვენი შეხვედრები გაზვიარებულიყო და გაგულთბილებულიყო. მხიბლავდა მისი ტაქტიანობა, უშუალობა, გულდიაობა და, განსაკუთრებით, დიდი ინტელექტი. რა თემაზე უნდა ჩამოვარდნილიყო საუბარი, რომ გერონტის არ გამოეჩინა მაღალი განსწავლულობა!

ერთი სიტყვით, გაგვიხშირდა შეხვედრებიც და სატელეფონო საუბრებიც. და, აი,

სწორედ აქ წამოიჭრა გერონტის ფენომენი, ზემოთ რომ მოგახსენებდით.

საქმე ის გახლავთ, რომ ტელეფონით ყოველ დარეკვაზე ვერ მოვასწრებ ვუთხრა — „გამარჯობა, გერონტი!“ — და ყურმილში მესმის „ნიკას გაუმარჯოსო!“

რასაკვირველია, არაფერია ამაში გასაოცარი და გასაკვირველი. ჭერ ერთი, რა ბედუნაა, გამოიცნო ხმა ტელეფონში! მეორეც, ზოგს ისეთი სმენა აქვს, მეგობრის ხმას კი არა, მთელ სიმფონიას სწავლობს ზეპირად და შეუცდომლად შეუძლია ამოიცნოს, რომელმა ინსტრუმენტმა რომელ რეგისტრში აიღო ყალბი ნოტი. მაგრამ გერონტი თავისი სმენით მანცდამანც ვერ გამოირჩეოდა. საქმაოდ კარგი ხმის პატრონს ძალიან უჭირდა ხოლმე ხმის შეწყობა კამპანიებში წამოწყებულ სიმღერებში.

რამდენჭერზე ვცადე და ხმა შევიცვალე — შენც არ მომიკვდი!

— ნიკას ვახლავარ! — შეუცვლელად მესმოდა ყურმილში მისი ხმა.

ერთხელ ვცადე და მეგობარს ვთხოვე, დაერეკა ჩემს მაგივრად.

— ნიკას დავალებით რეკავთ? — იკითხა უმაღვე გერონტი.

ლამის გავიჟდი!.. იმავე საღამოს, სახლში მივედი თუ არა, ცოლს დავარეკინე.

— თუ შეიძლება, ბატონ გერონტის სთხოვეთ! — მორიდებით წარმოთქვა ჩემმა მეუღლემ, რომელმაც არც კი იცოდა, რა ექსპერიმენტს ვატარებდი.

— რა კარგია, რომ დარეკეთ! — უპასუხა გერონტი ტელეფონში, — სწორედ მე

მინდოდა დამერეკა თქვენთან და დამასწარიო! ნიკას გადავციოთ, სტუმრები მყავს და ველოდებით! იცოდეთ, უიმისოდ არ დავსხდებით!

ჩემი ცოლი გერონტის არც ენახა და არც დალაპარაკებია როდისმე მას. რომ არ დავეპატიუე, ისე წავიდოდი, იმდენად ამიტანა ცნობისმოყვარეობამ.

— ნიკას ვახლავარ! ძალიან გამეხარდა, რომ დროზე მოხვედი! — შემომეგება სახეგაბადრული გერონტი და უმაღვე სუფრასთან მიგვეწვია მეც და მისი სხვა სტუმრებიც, ჩემს მისვლას რომ ელოდებოდნენ.

რა შესუფრებოდა! მე ჩემი გასაჭირი მქონდა და ახლავე რომ არ ამომეხსნა ჩემი საიდუმლო, არ ვიცი, რა დამემართებოდა.


— ლამის გული გამისკდეს! — ვიღრიალე უზრდელად ნერვებაწეწილმა, — მითხარი, თუ ძმა ხარ, რა გულთმისანი ხარ და როგორ გრძნობ, ვინ გირეკავს, თორემ ფიქრით მთელი ღამეები აღარ მიძინავს!..

გერონტის არც გაკვირვებია, რაზე ველავდი, ერთი გულთანად გაეცინა, მერე შეყოვნდა, ალბათ, იმას ფიქრობდა, — რა ვუთხრაო, — მაგრამ უცებ ხელი ჩაიჭნა და ოღნავ დარცხვენით მიპასუხა:

— რა ვქნა, ძმაო, მთელ ქვეყანაზე მხოლოდ შენ მეძახი გერონტის და, აბა, როგორ ვერ მივხვდები, რომ შენ მირეკავ ან შენ არეკვინებ ვინმეს! აქამდე მეთქვა — მერიდებოდა, ვაითუ, ეწყინოს-მეთქი! მე ხომ ახესალომი მქვია?!

ჯურაბ ლომიძე

ნ. ბ. პატრიარქისა



— უნდა გავყვარო, კვირცხის დაღებას გადა-

იჩვიას!



ახლა ან  
ქაღალის თავეზე  
დავსვი!

საქართველო

ნახ. მ. აბაშიძისა

სეპარატისტო,  
შე პარაზიტო,  
როგორც უცხოთესლს,  
ქვეყანა გიცნობს!  
ჩვენს მინაზე ხარ,  
გვხოცავ და  
სისხლს გვწოვ!..  
კიდევ რა გინდა?!  
ჩვენგან რას ითხოვ?!

საქართველო

КОНТРОЛЬНЫЕ  
ЭКЗЕМПЛЯРЫ